

ინდოევროპული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნები მორფოლოგიურ დონეზე

(გერმანიკული ენების მაგალითზე)

ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი ერთ-ერთი საინტერესო მეტყველების ნაწილია ძველ გერმანიკულ ენებში. მას ყველაზე მეტი გრამატიკული კატეგორია ჰქონდა მეტყველების სახელად ნაწილებს შორის, კერძოდ ზედსართავ სახელს ძველ გერმანიკულ ენებში ხუთი გრამატიკული კატეგორია ჰქონდა: სქესის, რიცხვის, ბრუნების, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობისა და ხარისხების.

ძველი გერმანიკული ენების ზედსართავი სახელების პირველი სამი გრამატიკული კატეგორიის კარგად ჩანს გოთური ენის ზედსართავი სახელის blinds (ბრმა) ქვემოთ წარმოდგენილ პარადიგმებში:

გოთური ენა

მამრ. სქ.	საშ. სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ. სახ. blinds	blindata	blinda
ნათ. blindis	blindis	blindaizos
მიც. blindamma	blindamma	blindai
ბრ. blindana	blind	blinda
მრ.რ. სახ. blindai	blinda	blindōs
ნათ. blindaizē	blindaizē	blindaizō
მიც. blindaim	blindaim	blindaim
ბრ. blindans	blinda	blindōs

როგორც ამ პარადიგმებიდან ჩანს, ზედსართავ სახელს გოთურში აქვს სამი სქესი: მამრობითი, საშუალო და მდედრობითი, რომლის ქართულად თარგმნა შეუძლებელია, რადგან ქართულ ენაში ზედსართავ სახელს არა აქვს სქესი. თუმცა, ეს ფორმები

შეიძლება ვთარგმნოთ რუსულად: **blinds** მამრობითი სქესი **слепой**, **blindata** საშუალო სქესი **слепое**, **blinda** მდედრობითი სქესი **слепая**.

ამ პარადიგმებიდან ასევე ჩანს, რომ ზედსართავ სახელს აქვს რიცხვის გრამატიკული კატეგორია, რომელიც მოიცავს მხოლობით და მრავლობით რიცხვებს (**blinds** მხოლობითი რიცხვი **слепой**, **blindai** მრავლობითი რიცხვი **слепые**).

ზედსართავ სახელს ასევე აქვს ბრუნების კატეგორია და არსებითი სახელის მსგავსად, აქაც ძირითადად გვაქვს 4 ბრუნვა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი და ბრალდებითი.

სამივე ზემოხსენებული კატეგორია: სქესი, რიცხვი და ბრუნება არის წმინდად გრამატიკული კატეგორიები, რადგან მათი ფუნქცია არის ზედსართავი სახელის შეთანხმება არსებით სახელთან სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში.

გოთური ენის მსგავსად, ზედსართავი სახელების ბრუნების ანალოგიური პარადიგმები გვხვდება ყველა ძველ გერმანიკულ ენაში. ქვემოთ განხილულია იმავე ზედსართავი სახელის პარადიგმები ძველ ზემოგერმანულ ენაში:

	მამრ. სქ.	საშ. სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ. სახ.	blint(êr)	blint (az)	blint(iu)
ნათ.	blintes	blintes	blintera
მიც.	blintemu, -emo	blintemu, -emo	blinteru, ero
ბრ.	blintan	blint (blintaz)	blinta
მრ.რ. სახ.	blinte	blintiu	blinto
ნათ.	blintero	blintero	blintero
მიც.	blintê̄m, -ê̄n	blintê̄m, -ê̄n	blintê̄m, -ê̄n
ბრ.	blinte	blintiu (blintu)	blinto

ზედსართავ სახელთა ორგვარი ბრუნება ძველგერმანიკულ ენებში

ზედსართავი სახელის გრამატიკულ კატეგორიებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ძველგერმანიკულ ზედსართავებს ჰქონდათ ორგვარი

ბრუნება, ძლიერი ბრუნება და სუსტი ბრუნება. ეს ორი პარადიგმა განსხვავდებოდა როგორც ფორმალურად, ბრუნვის დაბოლოებებით, ისე სემანტიკურად.

ზედსართავ სახელთა ძლიერი ბრუნების დაბოლოებები ძირითადად ემთხვეოდა ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნვის დაბოლოებებს, ამიტომ ამ ტიპის ბრუნებას ეწოდა „ჩვენებითების“ ტიპის ბრუნება. მაგალითისათვის, შევადართო ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნების პარადიგმა გოთურში ზემოთ წარმოდგენილ ზედსართავი სახელის blinds ბრუნვის დაბოლოებებს:

	მამრ. სქ.	საშ. სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ. სახ.	sa	þata	so
ნათ.	þis	þis	þizos
მიც.	þamma	þamma	þizai
ბრ.	þana	þata	þo
მრ. რ. სახ.	þai	þo	þos
ნათ.	þize	þize	þizo
მიც.	þaim	þaim	þaim
ბრ.	þans	þo	þos

„ჩვენებითების“ ტიპის ბრუნებასთან, ან ძლიერ ბრუნებასთან ერთად, გერმანიკულ ზედსართავ სახელებს ჩამოუყალიბდა ბრუნების მეორე ტიპი, რომელიც გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როცა ზედსართავ სახელს წინ უძღოდა ჩვენებითი ან კუთვნილებითი ნაცვალსახელი. ბრუნვის ეს ტიპი დაეფუძნა -n- თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნებას და მას დაუმკვიდრდა ტერმინი **სუსტი ბრუნება**.

მაშასადამე, ძველ გერმანიკულ ენებში ზედსართავ სახელს ჩამოუყალიბდა ორგვარი ბრუნება: ძლიერი და სუსტი. სუსტ ბრუნებას აქვს ძლიერი ბრუნებისგან განსხვავებული პარადიგმა, რაც კარგად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ გოთური ზედსართავის „ბრმა“ პარადიგმიდან.

გოთური ენა

	მამრ. სქ.	საშ. სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ. სახ.	blinda	blindō	blindō
ნათ.	blindins	blindins	blindōns
მიც.	blindin	blindin	blindōn
ბრ.	blindan	blindō	blindōn
მრ. რ. სახ.	blindans	blindōna	blindōns
ნათ.	blindanē	blindanē	blindōnō
მიც.	blindam	blindam	blindōm
ბრ.	blindans	blindōna	blindōns

გარდა ფორმალური განსხვავებისა ამ ორი ტიპის ბრუნებას შორის, რაც გამოიხატება განსხვავებული ბრუნვის დაბოლოებებში, ზედსართავი სახელების ძლიერ და სუსტ ბრუნებას შორის სემანტიკური სხვაობაცაა. ეს ორი ბრუნება გერმანიკულ ენებში გამოიყენებოდა განსაზღვრულობა / განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორიის გადმოსაცემად. კერძოდ, ზედსართავი სახელების ძლიერი ბრუნება გადმოსცემდა განუსაზღვრელობას, ხოლო სუსტი ბრუნება - განსაზღვრულობას. სუსტი ბრუნება გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებითი და ზედსართავი სახელების სინტაგმას წინ უძღოდა ჩვენებითი ან კუთვნილებითი ნაცვლასახელი (სწორედ ჩვენებითი ნაცვლასახელებისაგან განვითარდა გერმანიკულ ენებში მოგვიანებით განსაზღვრული არტიკლი). მაგ.:

გოთური

blinds manna – a blind man

sa blinda manna – the blind man

გერმანიკული ენების ზედსართავი სახელების უმრავლესობა იბრუნვოდა როგორც ძლიერი, ისე სუსტი ბრუნების მიხედვით. მხოლოდ მცირე ჯგუფი ზედსართავი სახელებისა იბრუნვოდა ან მხოლოდ სუსტი, ან მხოლოდ ძლიერი ბრუნების მიხედვით. ზედსართავი სახელების შედარებითი და აღმატებითი ხარისხები იბრუნვოდა მხოლოდ სუსტი ბრუნების ტიპის მიხედვით.

ზედსართავი სახელის ხარისხები

ძველ გერმანიკულ ენებში ზედსართავ სახელებს ჰქონდა სამი ხარისხი: დადებითი, შედარებითი და აღმატებითი. შედარებითი ხარისხი იწარმოებოდა სუფიქსებით: -iza, -ōza, რომლებიც ჩრდილოურ- და დასავლურგერმანიკულ ენებში როტაციზმის შედეგად გადავიდა -r-ში (-ra, -ro, -ri), აღმატებითი ხარისხი კი იწარმოებოდა სუფიქსებით: -ist, -ōst:

გოთური hauhs – „მაღალი“ - hauhiza – hauhists

blinds – „ბრმა“ blindiza – blindists

ძვ. ინგ. lanƷ - lenƷra - lenƷest „გრძელი“

ძვ. ზ.-გერმ. lang – langiro – langist

ძვ. ისლ. langr – lengri – lengstr.

მაშასადამე, ზედსართავ სახელს ძველ გერმანიკულ ენებში ჰქონდა ხუთი გრამატიკული კატეგორია: სქესი (blinds – слепой; blindata – слепое; blinda - слепая), რიცხვი (blinds – слепой; blindai - слепые), ბრუნება, განსაზღვრულობა / განუსაზღვრელობა და ხარისხები.

აღსანიშნავია, რომ ზედსართავ სახელთა ორგვარი ბრუნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის არც ერთ სხვა შტოში არ დასტურდება გარდა გერმანიკული ენებისა. ამდენად, ზედსართავ სახელთა ძლიერი და სუსტი ბრუნება გერმანიკული ენების მნიშვნელოვანი საერთო ლინგვისტური ნიშანია მორფოლოგიურ დონეზე.

ზედსართავი სახელის ევოლუცია თანამედროვე ინგლისურ ენაში.

თანამედროვე ინგლისურ ენაში პრაქტიკულად აღარაფერი შემორჩა ძველი გერმანიკული ზედსართავი სახელის მორფოლოგიიდან. ხუთი გრამატიკული კატეგორიიდან თანამედროვე ინგლისურში არსებობს მხოლოდ ერთი კატეგორია,

ხარისხების კატეგორია, რომელიც იწარმოება როგორც სუფიქსების მეშვეობით (-er, est), ისე ანალიტიკურად, more, most-ის გამოყენებით.

ზედსართავი სახელის ევოლუცია თანამედროვე ჰოლანდიურ (ნიდერლანდურ) ენაში.

ძველი გერმანიკული ზედსართავი სახელის სისტემა მთლიანად დაკარგულია ნიდერლანდურ ენაში. თანამედროვე ჰოლანდიურში ზედსართავებს აქვთ სულ ორი ფორმა: საწყისი / ფორმაუცვლელი (uninflected) ფორმა (მაგ. **blind** „ბრმა“) და გრამატიკულად ფორმაშეცვლილი / ფლექსიური დაბოლოების მქონე (inflected) ფორმა (მაგ. **blinde** „ბრმა“). ეს უკანასკნელი გამოიყენება, როდესაც ზედსართავს ატრიბუტული ფუნქცია აქვს (**een blinde man** „ბრმა კაცი“ / *ინგლ.* “a blind man”). ფორმაუცვლელი ზედსართავები კი ჰოლანდიურში მაშინ გვხვდება, როდესაც ზედსართავს პრედიკატული ფუნქცია აქვს, ანუ შედგენილი შემასმენლის კომპონენტია (**de man is blind** „ეს კაცი ბრმაა“ / *ინგლ.* “the man is blind”).

ბრუნვები თანამედროვე ჰოლანდიურში (როგორც არსებითებისთვის, ასევე ზედსართავებისთვის) გამქრალია და მათ ფუნქციებს წინდებულები ასრულებენ. აღსანიშნავია, რომ გამქრალია ნათესაობითი ბრუნვაც / გენიტივიც, და მის ფუნქციას ასრულებს წინდებული **van** (სემანტიკურად = *ინგლ.* “of”). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ჰოლანდიურში ერთადერთი, საერთო ბრუნვა არსებობს.

ჰოლანდიური ზედსართავები დადებით ხარისხში ერთმანეთისგან მხოლოდ განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიით განსხვავდებიან, რისი მარკერიც განუსაზღვრელი (**een** სამივე – მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესისთვის) და განსაზღვრული (**de** მამრობითი, მდედრობითი სქესის მხოლოდითი რიცხვისათვის; **het** საშუალო სქესის მხოლოდითი რიცხვისათვის და **de** სამივე სქესის მრავლობითი რიცხვისთვის) არტიკლებია.

თანამედროვე ჰოლანდიური (ნიდერლანდური) ზედსართავის პარადიგმა საბოლოო ჯამში ასე გამოიყურება:

<i>„ბრმა კაცი“</i>	<i>მამრობითი სქესი</i>	
<i>განუსაზღვრელი ფორმა</i>	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
საერთო ბრუნვა	een blinde man	blinde mannen

<i>განსაზღვრული ფორმა</i>	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
საერთო ბრუნვა	de blinde man	de blinde mannen

ზედსართავი სახელის ევოლუცია თანამედროვე შვედურ ენაში.

თანამედროვე ინგლისურისა და ჰოლანდიურის მსგავსად ძველი გერმანიკული ზედსართავი სახელის მორფოლოგიიდან ბევრი არაფერია შემორჩენილი თანამედროვე შვედურ ენაშიც.

შვედურში ზედსართავები განსხვავდება განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობისა და აგრეთვე სქესისა და რიცხვის მიხედვით.

შესიტყვება „ბრმა კაცი“ შვედურად შემდეგნაირად გამოიყურება:

<i>„ბრმა კაცი“</i>	<i>მამრობითი სქესი</i>	
<i>განუსაზღვრელი ფორმა</i>	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი ბრუნვა	en blind man	blinda män

<i>განსაზღვრული ფორმა</i>	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი ბრუნვა	de blinda mannen	de blinda männen

-en დაბოლოება არსებითის განსაზღვრულ ფორმებში (**mannen, männen**) წარმოადგენს ე.წ. პოსტპოზიციურ არტიკლს, რომელიც შერწყმულია არსებით სახელთან, ისტორიულად ჩვენებითი ნაცვალსახელისგან არის განვითარებული და

სკანდინავიური ენების განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს გერმანიკული ენების ოჯახში.

ზედსართავთა ძლიერი ბრუნების ერთადერთ გადმონაშთს შვედურ ენაში წარმოადგენს დაბოლოება **-t** საშუალი სქესის განუსაზღვრელ ფორმაში: ett blint barn („ბრმა ბავშვი“ / ინგლ. “a blind child”), ett stort hus („დიდი სახლი“ / ინგლ. “a big house”) და ა.შ.

ზედსართავი სახელის ევოლუცია თანამედროვე გერმანულ ენაში.

თანამედროვე გერმანული არსებითი სახელების მსგავსად, ზედსართავ სახელსაც შემონახული აქვს ბევრი გერმანიკული გრამატიკული კატეგორია.

გერმანულ ენაში გამოიყოფა ზედსართავთა სამი ტიპის ბრუნება: პირველი და მეორე არის „კლასიკური“ ძლიერი და სუსტი (როგორც გოთურში), ბრუნების მესამე ტიპი კი არის ე.წ. „შერეული“ ტიპის ბრუნება, რომლის პარადიგმაშიც გვხვდება როგორც ძლიერი, ასევე სუსტი ბრუნების დაბოლოებები.

1. „ძლიერად“ გერმანული ზედსართავი იბრუნვის, როდესაც მას წინ არ უძღვის არტიკლი ან კუთვნილებითი თუ სხვა ნაცვალსახელი.

„ბრმა კაცი“	მამრობითი სქესი	
<i>ძლიერი ბრუნება</i>	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	blinder Mann	blinde Männer
ნათესაობითი	blinden Manns	blinde Männer
მიცემითი	blindem Mann	blinden Männern
ბრალდებითი	blinden Mann	blinde Männer

2. „სუსტად“ გერმანული ზედსართავი სახელი ძირითადად განსაზღვრული არტიკლის შემდეგ იბრუნვის. მამრობით სქესში დაბოლოებებია: **-e** სახელობითში და **-en** ყველა დანარჩენ ბრუნვაში (აქ ცალკეულ ბრუნვებს, როგორც ვხედავთ, არტიკლი გამოხატავს, ზედსართავს კი ნეიტრალური, არადიფერენცირებული დაბოლოებები აქვს, რაშიც მდგომარეობს კიდევ ამგვარი ზედსართავების, ასე ვთქვათ, „სისუსტე“):

„ბრმა კაცი“	მამრობითი სქესი	
<i>სუსტი ბრუნება</i>	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	der blinde Mann	die blinden Männer

ნათესაობითი	des blinden Manns	der blinden Männer
მიცემითი	dem blinden Mann	den blinden Männern
ბრალდებითი	den blinden Mann	die blinden Männer

3. შერეული ტიპი: ამ ტიპის მიხედვით გერმანული ზედსართავები იბრუნვის განუსაზღვრელი არტიკლის, კუთვნილებითი ნაცვალსახელების, უარყოფითი განუსაზღვრელი ნაცვალსახელის kein („არანაირი, არავითარი“) შემდეგ. ამ ტიპის ბრუნებაში სახელობით და ბრალდებით ბრუნვებში ზედსართავები „ძლიერ“ დაბოლოებებს დაირთავენ, ხოლო ყველა სხვა ბრუნვაში – „სუსტებს“:

<i>„ბრმა კაცი“</i>	<i>მამრობითი სქესი</i>
<i>„შერეული“ ბრუნება</i>	მხოლოებითი რიცხვი
სახელობითი	ein blinder Mann
ნათესაობითი	eines blinden Manns
მიცემითი	einem blinden Mann
ბრალდებითი	einen blinden Mann

<i>„არც ერთი ბრმა კაცი“</i>	<i>მამრობითი სქესი</i>
<i>„შერეული“ ბრუნება</i>	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	keine blinden Männer
ნათესაობითი	keiner blinden Männer
მიცემითი	keinen blinden Männern
ბრალდებითი	keine blinden Männer

ზედსართავი სახელის ევოლუცია თანამედროვე ისლანდიურ ენაში.

თანამედროვე ისლანდიურ ენაში ზედსართავი სახელის გრამატიკული კატეგორიები უცვლელი სახითაა შემონახული. ისლანდიურ ზედსართავ სახელს აქვს სამი სქესი და ორი რიცხვი, ორი ტიპის ბრუნება ძლიერი და სუსტი, რომელიც ასევე განსაზღვრულობა - განუსაზღვრელობას გამოხატავს. ქვემოთ წარმოდგენილია თანამედროვე ისლანდიური მამრობითი სქესის ზედსართავი სახელის ძლიერი და სუსტი ბრუნების პარადიგმები.

<i>„ბრმა კაცი“</i>	<i>მამრობითი სქესი</i>
--------------------	------------------------

<i>ძლიერი ბრუნება</i>	მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	blindur maður	blindir menn
ნათესაობითი	blinds manns	blindra manna
მიცემითი	blindum manni	blindum mönnum
ბრალდებითი	blindan mann	blinda menn

<i>„ბრმა კაცი“</i>	<i>მამრობითი სქესი</i>	
<i>სუსტი ბრუნება</i>	მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	blindi maður	blindu menn
ნათესაობითი	blinda manns	blindu manna
მიცემითი	blinda manni	blindu mönnum
ბრალდებითი	blinda mann	blindu menn

არსებითი სახელის მსგავსად, ძველი გერმანიკული ზედსართავი სახელის გრამატიკული კატეგორიები ყველაზე კარგად შეინარჩუნა თანამედროვე ისლანდიურმა ენამ; თანამედროვე ინგლისურ, ნიდერლანდულ და შვედურ ენებში ეს სისტემა მთლიანად დაკარგულია და ხუთი გრამატიკული კატეგორიიდან შემორჩენილია მხოლოდ ერთი - ხარისხების წარმოება. გერმანული ენა არის ამ ორ უკიდურესობას შორის, მან ძველი გერმანიკული ზედსართავი სახელისათვის დამახასიათებელი ბევრი ლინგვისტური ნიშანი შემოინახა, თუმცა თანამედროვე გერმანული ენის ზედსართავი სახელის სისტემაშიც მნიშვნელოვანი რედუქციის პროცესებს ვხედავთ.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რამდენი გრამატიკული კატეგორია ჰქონდა ზედსართავ სახელს ძველ გერმანიკულ ენებში და რა კატეგორიებია ეს?
2. რით გამოირჩევა ზედსართავთა ბრუნება ძველ (და ზოგიერთ თანამედროვე) გერმანიკულ ენებში ზედსართავთა ბრუნებისაგან სხვა ინდოევროპულ ენებში?

3. რა ეწოდება გერმანიკული ზედსართავების ორგვარი ბრუნების თითოეულ ტიპს? რას გულისხმობს და რა ფორმალურ მახასიათებლებში გამოიხატება გერმანიკულ ზედსართავთა ეს „სიძლიერე“ და „სისუსტე“?
4. რა სემანტიკური განსხვავებები არსებობს გერმანიკულ „ძლიერ“ და „სუსტ“ ზედსართავებს შორის?
5. ძლიერ და სუსტ გერმანიკულ ზედსართავთაგან, რომელი გამოხატავს **განსაზღვრულობის** გრამატიკულ კატეგორიას და რომელი **განუსაზღვრელობისა**?
6. თქვენი აზრით, რა წარმომავლობა შეიძლება ჰქონდეს გერმანიკულ ენებში ზედსართავთა ბრუნების მეორე, შედარებით გვიან განვითარებულ ე.წ. „სუსტ“ ტიპს?
7. შედარების რამდენი ხარისხი აქვს ზედსართავ სახელებს ძველ (და თანამედროვე) გერმანიკულ ენებში?
8. რა მორფოლოგიური ევოლუცია განიცადა ზედსართავმა სახელმა თანამედროვე ინგლისურ ენაში?
9. თქვენი აზრით, ზედსართავი სახელის მორფოლოგიის ამგვარი გამარტივება ენის განვითარებად უნდა ჩაითვალოს, თუ ენის დეგრადაციად? რა მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალებები გადმოსცემს თანამედროვე ინგლისურ ენაში იმ ენობრივ ინფორმაციას, რომლებიც ძველ ინგლისურში (ისევე როგორც სხვა ძველ გერმანიკულ ენებში) ზედსართავ სახელთა ბრუნვითი დაბოლოებებით გადმოიცემოდა?
10. რა მორფოლოგიური ევოლუცია განიცადა ზედსართავმა სახელმა თანამედროვე ჰოლანდიურ (ნიდერლანდურ) ენაში? რომელ ენაშია ზედსართავთა სისტემა უფრო მარტივი, ინგლისურში თუ ნიდერლანდურში?
11. თანამედროვე შვედურ ზედსართავთა ფორმაცვალებადობას თუ განვიხილავთ, რომელი სისტემაა უფრო რთული, თანამედროვე შვედური, თუ თანამედროვე ინგლისური და/ან ჰოლანდიური?
12. რამდენად არის შეცვლილი ზედსართავთა პარადიგმა თანამედროვე ისლანდიურში? რა გრამატიკული კატეგორიები აქვს ზედსართავს თანამედროვე ისლანდიურ ენაში?
13. შესაბამისად, რამდენად ახლოს მდგომად მიგაჩნიათ ზედსართავთა ბრუნების პარადიგმა თანამედროვე ისლანდიურ ენაში ზედსართავთა ბრუნების პარადიგმასთან პროტოგერმანიკულ ან, ვთქვათ, გოთურ ენაში?
14. თქვენი აზრით, რით შეიძლება აიხსნებოდეს ზედსართავთა პარადიგმების ესოდენ დიდი განსხვავება ახლომონათესავე ისლანდიურ და შვედურ ენებში? რა

ზოგადი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ენის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ამ ორი ენის ზედსართავთა ურთიერთშედარების საფუძველზე?

15. თანამედროვე ინგლისურ, ჰოლანდიურ, შვედურ, გერმანულ და ისლანდიურ ზედსართავთა სისტემებს თუ შევადარებთ ერთმანეთს, როგორია მათი, ასე ვთქვათ, გრადაცია სირთულის მიხედვით? ამ ენათაგან რომლებმა შეინარჩუნეს მეტი მორფოლოგიური სიახლოვე ზედსართავთა ძველ, საერთოგერმანიკულ პარადიგმასთან და რომლებია უფრო დაშორებული ზედსართავთა პარადიგმის ამ საერთოგერმანიკული პროტოტიპისგან?